№ 164, აგვისტოს 1, ხუთშაბათი. 1866—1885 აგვისტოს 1, ხუთშაბათი. № 164.

„დროების“ რედაქცია—სასახლის ქუჩაზე, დ. სარაჯოვის სახლში.

ხელის-მოწერა მიიღება თბილისში, რედაქციაშივე ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში: გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Тифлисъ, ред. „Дроэба“

ფასი წლით 9 მ., 11 თვით 8 მ., 50კ. 10 თვით—8 მ., 9 თვ.—7 მ., 50კ. 8 თვ.—7 მ., 7 თვ.—6 მ. 6 თვ.—5 მ.. 5 თვ.—4 მ. 50 კ., 4 თვ.—4 მ., 3 თვ.—3 მ., 2 თვ.—2 მ., 1 თვ.—1 მ.

ცალკე ნომერი „დროებისა“ ღირს 5 კაპეიკი.

დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა.

ფასი განცხადებისა: მეოთხე გვერდზე სტრიქონზე 8 კ., პირველზე 16 კ. სრული უკანასკნელი გვერდი 25 მანათი; პირველი 50 მ. რიცხვი სტრიქონებისა ითვლება მათგან დაჭერილის ადგილის სიგრძეზედ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდელ წერილებს რედაქცია ვერ დაუბრუნებს ავტორს.

Объявленія изъ Россіи, Царства Польскаго и заграницы принимаются только въ цент. конторѣ объявл. Л. Метцль., Москва, Петровка, № 6.

ეფროსინე იაკობის ასული

ჭიჭინაძისა

რომელსაც სწავლა შეუსრულებია სანკტ პეტერბურგის უმაღლესს საქალებო სასწავლებელში, ამ წლის პირველის სექტემბრიდამ **ხსნის** ქალაქს **ქუთაისში მოსამზადებელს სასწავლებელს** ორის წლის კურსით, რომელიც ამზადებს ქალებს საქალებო გიმნაზიის პირველის კლასისათვის, ვაჟებს სავაჟო გიმნაზიის მოსამზადებელის კლასის უფროსის განყოფილებისთვის.

სასწავლებელში მიიღებიან ბინიდამ მოსიარულე ყმაწვილები პანსიონი არ იქნება, და სწავლისათვის გადახდებათ სასწავლო წელიწადში **ორმოცდა-ხუთი მანათი** (45), რომელიც წინ-და-წინ უნდა შემოიტანონ მესამედობით. ვისაც ჰსურს ყმაწვილების მიბარება ამ სასწავლებელში, წერილებით უნდა განუცხადოს თავისი სურვილი სასწავლებლის დამაარსებელს ივლისის 22-დამ აგვისტოს 25-მდის.

ადრესი: ქუთაისი, გოსპიტლის ქუჩა სახლი ნიკოლაძისა. (6—4)

რა არის ძვირფასი კარაბადინებში?

თბილისი, აგვისტოს 1-ს.

ბუშინ, ჩვენს მოწინავე წერილში გაკვრით შევეხეთ ხალხის «ჩვეულებრივს უფლებას», იმ უფლებას, რომელიც მილიონების გონებას რამდენიმე ასის წლის განმავლობაში სიფთხილით გაუცხრილავს და მხოლოდ ის დაუტოვებია ხელ-შეუხებლად, რაც ხალხის წარმოდგენით, საფუძვლიანია, სამართლიანი, ღვთისა და კაცისათვისაც საამო. რასაკვირველია, ხალხის «ჩვეულებრივს უფლებაში» მრავალი იმისთანა მუხლია, რომელიც ჩაგონებულია მოშურნეობით, სისხლის აღების წადილით, გონება-გაუხსნელობით და ეს მუხლები უნდა გამოიდევნონ სამართლის წარმოებიდამ, მაგრამ ხალხის სიბრძნეს უფრო ბევრი იმისთანა კანონი აქვს შემუშავებული, რომელიც ძვირფას განძად ჩაითვლება კანონ-მდებელთათვის.

ესევე, ანუ თითქმის ესევე, ითქმის ხალხის წამლობაზედ და იმ კარაბადინებზედ, რომელთაც ეს წამლობა აუნუსხავთ შთამომავლობისათვის გადასაცემად. იქნება ბევრთ ცუდის თვალით მიიღონ ეს შეხედულობა, იქნება ზოგიერთა ექიმებმა სრულიად უარჰყონ ხალხის წამლობის მნიშვნელობაც, მაგრამ რამდენიმე წუთით ჩაფიქრება საკმარისია რომ ამ ზოგიერთების აზრი თეორიულადაც და პრაქტიკულადაც დაირღვეს.

რომ უბრალო ექიმები, რომელთაც არსად სწავლა არ მიუღიათ, ხშირად არჩენენ ნასწავლი ექიმებისაგან ხელაღებულ ავადმყოფებს და ხალხში განთქმული ქირურგები ექიმებისაგან მოსაჭრელად განჩინებულ ხელს ან ფეხს სრულიად ამთელებენ,—ამას ვერავინ ვერ უარ-ჰყოფს. ვერავინ ვერ უარჰყოფს აგრეთვე იმას, რომ ბევრმა იცის წამალი გველის ნაკბენისა, ცოფისა და სხვა უეცრად მოვლენილი ავადმყოფობისა. არც ის არის ძნელი ასახსნელი თუ როგორ მიუგნიათ ამისთანა უებარ საშუალებათათვის. როდესაც ნასწავლი ექიმები არა ჰყოფილან, ხალხს თითონ უძებნია წამალი სხვა-და-სხვა ბალახეულობაში და დღესაც ბევრს ეძებს. მართალია, მავნებელი წამლის მიცემით ბევრი გაუსტუმრებიათ საიქიოს, მაგრამ ერთხელაც არის შეხვედრიან იმისთანა საშუალებას, რომელსაც ურგია და ამ საშუალების სახელი შეუნახავთ ჩამომავლობისათვის. თუმცა ხალხი ამ შემთხვევაში ისე უნდა მოქცეულიყო, როგორც უკუნის სიბნელეში მოსიარულე ადამიანი, თუმცა იგი ვერ მისცემდა და ვერც მისცემს ანგარიშს, რად ხმარობს ამა და ამ ავადმყოფობაში ამა და ამ წამალს და არა სხვას, მაგრამ ნაყოფი მისის გამოცდილებისა მაინც ძვირფასია და არ ეკუთვნის მას სასაცილოდ აგდება დიპლომიან ექიმებისაგან. უკანასკნელთა ვალია, იპოვონ საიდუმლო ამ წამლობისა, შეუფარდონ მეცნიერებას და საქვეყნოდ გამოააშკარაონ თავიანთ მონაღვაწი. კარაბადინები ექიმებმა სტოლქვეშ კი არ უნდა მიაგდონ, უნდა ყურადღებით წაიკითხონ, ავი კარგისაგან გაარჩიონ და იქიდამ ამოიღონ ყოველივე, რაც შეადგენს ხალხის გამოცდილების კეთილ ნაყოფს.

ჩვენში ჯერ არც ერთს ექიმს არ უხლია ხელი ამისთანა სასარგებლო საქმისათვის. მართალია, რამდენიმე თვის წინად ერთმა ექიმმა მიიწვია, ჩვენის გაზეთის საშუალებით კარაბადინის მქონენი—ეთხოვებინათ მისთვის ეს სახალხო განძი, მაგრამ რა შედეგი ჰქონდა ამ მიწვევას, ან ბ-ნმა ექიმმა დაანება თავი თავის საქმეს, თუ არა,—ჩვენ არ ვიცით.

შინაური ქრონიკა

⊖⊖⊖ გრაფ ბობრინსკის უყიდნია ს. ვეჯინში (კახეთში) მთლად ერთიანად მამულ-დედული თ. მიხ. ანდრონიკაშვილისა. ეს სოფელი მდებარებს ქარდენახის გვერდით, სადაც აგრეთვე ამას წინად გრაფმა შერემეტიევმა აფხაზისეული მამული იყიდა...

⊖⊖⊖ ამავე სოფლიდგან გვწერენ: «ჩვენის ხალხის უფერულს ცხოვრებაში კაცი შეხვდება ხოლმე, თუმცა კი იშვიათად, იმისთანა შემთხვევებს, რომელნიც ადვილად ჩაიწერებიან ხალხის სულ-მოკლეობის მატიანეში. აი, თუნდ ერთი, ბევრისათვის ძნელად დასაჯერებელი შემთხვევა, რომელიც მოხდა სოფ. ვეჯინში. ამ ერთი კვირის წინ ჩვენ ვიყავით მოწმად შემდეგის სურათისა: ვახშმობის დროს ერთს უბანში შეიქმნა დიდი ალიაქოთი: ზოგი ხალხს ეძახოდა მისაშველებლად, ზოგი ტიროდა, ზოგი თოკს იძახოდა და სხვ.

«ამ ამბით მთელი უბანი შეიძრა, და ხალხიც ბლომად შეიკრიბა იმ სახლის წინ, საცა ტირილი ისმოდა. დაშოშმანების შემდეგ აი რა აღმოჩნდა: ცოლსა და ქმარს ჩხუბი მოსვლოდათ. ამ ჩხუბში, კაცის საუბედუროდ, ცოლს ეჯობნა და ეცემა ქმრისათვის; დამარცხებულმა რაინდმა, როგორც დედაკაცისაგან გალახულმა, აღარ ინდომა თურმე დედა-მიწაზე სიარული; ჩამოჰკიდა თოკი სახლში და თავი უნდა დაეხრჩო. ამის მნახველმა ცოლმა დაიწყო კივილი, მიშველეთ ქმარი თავს იხრჩობსო. მიცვივდნენ მეზობლები და დაიხსნეს დამარცხებული რაინდი უეჭველი სიკვდილისაგან».

⊖⊖⊖ იქიდგანვე გვწერენ: «ბევრს სხვა ნაკლულევანებასთან ჩვენს სოფელს ის ნაკლულევანებაცა აქვს, რომელიც ჰხდის მას ჭორიკანაობის ბუდეთ. ერთი ბეწვა რამ რომ მოხდეს, მეორე დღეს მოდებულია ეს ამბავი რამდენსამე სოფელში და ისიც იმ ნაირის გაზვიადებით, რომ კაცი საკვირველებაში მოჰყავს. ბუშინ-წინებში აქ ხმა გავარდა, ვითომც სოფ. ბურჯაანში ერთს მედუქნეს მოეკლას თუში ფულის გულისათვის და მოკლული ჩაეფლას ნეხვში; ვითომც რამდენიმე ხნის შემდეგ მკვდარი ღორებს ამოეგდოთ ნეხვიდგან; ვითომც მოეხდინათ გამოძიება და მედუქნე ეცნათ თუშის მკვლელად... ნამდვილად კი აი როგორ იყო ეს ამბავი: ამ რამდენიმე თვის წინად მგზავრ თუშებს დროება გაეტარებინათ ბურჯაანის ერთს ერთს დუქანში. ვახშმობის დროს ისინი წასულიყვნენ თავიანთ გზაზედ, ხოლო ერთი იქავ დარჩენილიყო. იმ ღამეს დარჩენილი თუში უცებ დაკარგულა; არავინ იცის ჯერაც, მკვდარია თუ ცოცხალი. ამ დღეებში ჩამოვიდნენ თუშები და ეძებდნენ თავიანთ ამხანაგს. ეჭვი მიიტანეს მედუქნეზედ, ვითომც ის მოჰკლავდა ფულის გულისათვისაო. მაგრამ, როგორცა სჩანს, ამ თუშს ფული არა ჰქონია, რადგანაც სხვა დუქნების დანახარჯში ცხენი და ქამარი დაეგირავებინა. ამ საქმის თაობაზედ მაზრის უფროსიც იყო აქ. თუმცა მან მედუქნეები დაამწყვდია და ისედაც ბევრს ეცადა, გაეგო მიზეზი თუშის დაკარგვისა, მაგრამ ყოველმა მისმა ცდამ უნაყოფოდ ჩაიარა. მედუქნეები გამოუშვა და თვით გაემართა სიღნაღისკენ.»

⊖⊖⊖ ივლისის 28-ს დ. თიანეთში ერთის ღარიბის შეგირდის სასარგებლოდ წარმოდგენა გაუმართავთ; უთამაშნიათ გ. ერისთავის «გაყრა». საკმაო საზოგადოება დასწრებია წარმოდგენაზე. თვით წარმოდგენას არ ჩაუვლია ისე უხეიროდ, როგორც მოსალოდნელი იყო. შემოსავალი ხუთ თუმნამდე შემდგარა. სცენას ამშვენებდა თურმე თავისის არტისტიულის თამაშობით ახალ-გაზდა ე. ვ. ამაშუკელისა. მადლობის ღირსნი არიან მეთაოსნენი წარმოდგენისა—კნ. ბარბარე ბარათაშვილისა და ბ. ელიზბარ ბუგუშვილი.

⊖⊖⊖ თიანეთში და მის ახლო-მახლო სოფლებში ჭირნახულს კარგი ამინდი დასდგომია. ასეთი მძიმე და გამოსავლიანი ყანა, დიდი ხანია, არ გვინახავსო, ამბობენ, თურმე, გლეხები.

⊖⊖⊖ თბილისში ისევ სიგრილეა. ყოველ-დღე წვიმს. როგორც ეტყობა, ზაფხულის აუტანელ სიცხეს აღარ უნდა მოველოდეთ.

⊖⊖⊖ სიღნაღიდამ გვწერენ: «საშინელმა სიცხეებმა მეტის-მეტად შეგვაწუხა; არაფრის მოსავალი არა გვაქვს. ცოტა ვენახებისა გვქონდა იმედი და ლამის იქიდამაც ცარიელნი დავრჩით. ხნიანები ამბობენ, რომ ამ ნაირ უწვიმობას არა დროს არ შევსწრებივართო.

«ამ თვის 13-ში სიღნაღის მოქალაქეთ გაუმართეს გამოთხოვების სადილი ბატონ შათიროვს, ტელეგრაფის სტანციის უფროსს. სადილზედ დაესწრო მთლად ერთიანად ჩინოვნიკობა და მოქალაქენი. სადილზედ მრავალი სიტყვები წარმოითქვა. ღირსიც იყო ბ. შათიროვი ამ ნაირი პატივისცემისა; თვრამეტი წლის განმავლობაში სამსახურში ყოფნის დროს, მან დაიმსახურა საერთო სიყვარული

და პატივის-ცემა, როგორც მოქალაქეთა ისე მოხელეთა. ბ. შათიროვი თბილისში გადადის ახალს ადგილზედ.»

—

შეცდომის გასწორება: გუშინდელ №-ში, სხვა-და-სხვა ამბებში მონტეფიორეს ცხოვრების ბოლო შეცდომით ცალკე ამბად დაიბეჭდა მესამე გვერდის მესამე სვეტზე.

«დროების» კორესპონდენციები

—

ხევი, ივლისის 26-ს. ამას წინად «დროებამ» გვახარა, რომ დუშეთის მაზრაში სამსაჯულოს მეორე განყოფილებაც დაწესდებაო; ეს ხმა მაშინათვე ცის ელვასავით მოიფინა ჩვენს ხეობაში და მისი დროზე საქმით განხორციელება სულითა და გულით ვისურვეთ.

ეს კეთილი საქმე საზოგადოდ სასარგებლო იქნება ყველა მთიელებისათვის მხოლოდ მაშინ და არა უიმისოდ, თუ რომ ხსენებული სამსაჯულოს განყოფილებას ქვეშეთში დააწესებენ და არა (როგორც ლაპარაკობენ) ფასანაურში.

ქვეშეთი არის ყველა ანანურს აქეთ მცხოვრებთათვის შუა ადგილი; ამიტომაც მღვიან-ზვავების დროს ქვეშეთში ყოფილა მთის სასამართლო და დღესაც აქ არის პოლიცია; ამასთანავე, როგორც ზემოთაცა ვთქვით, ქვეშეთი იმ მანძილზე არის საზოგადოდ ანანურს აქეთ ყველა ჩვენგანისათვის, რომ არც ერთს არ გაუჭირდება იქ მისვლა-მოსვლა, როგორც აქამდის დუშეთში მისვლა-მოსვლა უჭირდებოდა.

მე, ამ სტრიქონების დამწერს, თითონ ჩემის თვალით მინახავს ისეთი მაგალითი, რომ 100 მანათის გულისათვის საქმის უკან დევნაში, მანძილის სიშორისა გამო, კაცს ერთი იმდენიც კიდევ სხვა დაეხარჯოს და თავის 100 მანათიც ვერ მიეღოს.

თუ სამსაჯულოს მეორე განყოფილებას ქვეშეთში დააწესებენ, მრავალი ჩვენგანი აიცილებს თავიდამ ყველა იმ უბედურებას, ხარჯსა და ზარალს, რომელიც მას მოელოდა სოფლის მოსამართლეებისაგან საქმის შეუგნებლობისა და უკანონოდ მოქცევის გამო. აი თუნდ, მაგალითად, ამ დღეებში რა მოხდა: სოფლის მოსამართლეებმა ერთი საქმე გადასწყვიტეს და ერთმა მხარემ გადაწყვეტილების კოპიო სთხოვა.

ნაცვლად კოპიოს მიცემისა მას უპასუხა ერთმა მოსამართლეთაგანმა.

— ბანა იმიტომ გადავწყვიტეთ საქმე, რომ წახვიდე და ახლა სხვაგან იჩივლო! ბიჩვე, დროზე შეუდგე ტაბლის (გადაწყვეტილების ძალით ტაბლა უნდა გაეკეთებინა) თადარიკს და თავიდამ მოიშორო ეგ ჭირიო!

ჯეჯილები და ბალახი თუმცა მაისის უკანასკნელს რიცხვებში სიცივის სუსხმა ჯერ ცოტათი შეაყენა და მერმე უზომო სიცხეებმა ავნო, მაგრამ ივლისის პირველიდამ დაიწყო ავდრობა და თავის რიგზე კარგი ჟუჟუნა წვიმები მოდის. ჭირნახულს-კი, ჩვენდა მოულოდნელად როგორც იყო, სიცოცხლე დაუბრუნა, მაგრამ ბალახი კი გაფუჭდა და აღარაფერი ეშველა.

თერგის-ხეველი.

სოფელი ერკეთი (გურია), ივლისის 26. ერკეთის საზოგადოება, რომელიც შესდგება ბევრი სხვა-და-სხვა პატარა სოფლებისაგან, გაშენებულია ორი გურიის უმთავრესი მდინარეების სუფსისა და გობაზოულის ნაყოფიერ ნაპირებზე და დასახლებულია 500-ზე მეტი კომლი გლეხისა და 150 სხვა უმაღლესი წოდების პირთაგან, ასე, რომ ერკეთი მცხოვრებლების რიცხვით და სივრცით ჩაითვლება გურიის მოზდილ სოფლად. ეხლანდელ მცხოვრებთა წინაპარნი, როგორადაც გვიმტკიცებს თვით სახელწოდება ერკეთი, ყოფილან კეთილნი (ერკეთი, ერი კეთილი). ეს სიკეთილე დროთა წარმაუკუღმა ტრიალს სიავედ შეუცვლია და მთელი ერკეთის ცხოვრება ჩაუგდენებია იმისთანა კალაპოტში, სადაც გაიძვერაობა და სხვა პირადი სარგებლობის დამცველი საშუალობა მეფობს. ამ ზნეობითი დაცემის მიზეზის დასახელება ეხლანდელ დროში სახიფათოა; მხოლოდ მე იმის თქმა შემიძლიან, რომ ეს მომხდარა ამ 18-19 წლების განმავალობაში, სულ იმის შემდეგ, რაც ახალი სოფლის სასამართლოები დაწესებულა და ამ ახალ სასამართლოებში ძველი მოხელეების ტყავში გამოხვეულ მწერლებს დაუწყვიათ კალმების ჩხაკი-ჩხუკი... ეს სულიერი ავადმყოფობა უსწავლელის ხალხის შეხედულობით ერთად-ერთი საშუალობაა მატერიალურად აღმატებისათვის და ამ მიზეზით ამ სენს ეპიდემიური თვისება მიუღია და განსაკუთრებულად შესჩვევია ხალხს. მაგრამ ისე არსად არ არის იგი, როგორც ერკეთში. სჩანს, რომ მისი თავდა-პირველი წარმომადგენელი (სოფლის მწერალი) ყოფილა სხვაზედ ძლიერ ავად ამ სენით.

ერკეთში სკოლა არ არის, თუმცა მატერიალურად იგი ბევრ სხვა გურიის სოფლებსა სჯობიან (აკეთი, ფარცხმა, ამაღლება, ალანა და სხვ.) სადაც დიდი ხანია სოფლის სკოლები, არსებობენ. სუფსისა და გობაზოულის ნაყოფიერი ნაპირები ერკეთში საშუალო რიცხვით წელიწადში აწარმოებენ 3000 ფუთამდე კარგი თვისების თამბაქოს; ფუთი, რომ 7 მან. ვიანგარიშოთ, ერკეთის წლიური შემოსავალი მარტო თამბაქოდამ ადის 21000 მან. ერკეთელების სხვა სახსარია ხე-ტყე, თაფლი, პური, ქერი და სხვ. ერთი სიტყვით ერკეთს სრულიადაც არ გაუჭირდება რიგიანი სოფლის სკოლა შეინახოს და მით მომავალი თაობა მაინც გამოიხსნას ზემოდასახელებული სენისაგან.

ლ. ფსაზელი.

წერილი რედაქტორთან

—

«დროების» მე 146-ში წავიკითხეთ ვითომც ერთი ინგლისელი მატყლის ვაჭარი მოსულიყოს საქართველოში. თუ ეს მართალი გამოვიდა, იქნება ახლა-კი ღმერთმა გვიშველოს და იმისთანა პატიოსანი კაცი იყოს, რომ არ მოატყუოს ჩვენი გლეხი მეცხვარე, როგორათაც ზოგიერთი თელაველი გაიძვერა ვაჭრები გვატყუებენ.

მაგალითად მოგახსენებთ დაწვრილებით როგორ შეიძინა ერთმა ამათგანმა ი. ი-ოვმა სამი ათას-თუმნამდის: ამ ორის წლის წინად მეცხვარეებს გაურიგდა ოთხ თუმან-ნახევრად ასი ცხვრის ნაპარსს, დაარიგა ბეები მატყლისა და კონტრაქტიც დაუწერა ყველას; მხოლოდ თითონ ინახამდა ერთ პირს და მეორეს არა სწერდა. მეცხვარეებიც ენდობოდენ. აილო ბლომად მატყლი მთელი სიღნაღის მაზრისა, ჩააწყო და წამოიღო ქალაქში. როდესაც მეცხვარეებმა ჩამოუარეს ფულისათვის და სთხოვეს, ი-ოვმა ყველას ესე უთხრა, მე თითონ სიღნაღს მოგიტანთო. თავის დრომდის ელოდნენ, მაგრამ იმან ფული არ მოუტანა. მასუკან სიღნაღს მოსულიყო და სასტუმროში ჩამომხდარიყო. ყველამ შევიტყვეთ, მივედით სათხოვნელად, ფული მოგვეციო, მან გვიპასუხა, ძალიან ვიზარალე, ოთხ თუმან-ნახევარს ვერ მოგცემთ ასზედ, სამ თუმანს დამჯერდითო. ჩვენც თანახმანი გავუხდით,—ოღონდ მოგვეცი და თუ იზარალე, ჩვენც შეგაძლებინებთო. მერე იფიქრა და სულ უარი გამოგვიცხადა: ვის უარი უთხრა, წინ-და-წინ აკი მოგეციო, ვის უთხრა ახალი მატყლი მომეცი ასი ოცდა-ხუთ მანათად და ძველ ფულს მოგცემო. ესეც სცადეს, მაგრამ იმის ხელიდამ აღარა გამოვიდა-რა. ერთი ჩემი სოფლისავე მცხოვრებისა იყო ი-ოვზედ მატყლის ფული ოცდა-ხუთი თუმანი. იმან იფიქრა, მოდი ესე მოვუხერხებ, ახალი მატყლის ფულს გამოვართმევ ოცდა-ათ თუმანს და იმ ჩემს ვალში დავუჭერო; იმისივე ხელ-წერილი მიჭირავს და რას მიზამსო. მართლა სთხოვა და იმანაც მისცა ოცდა-ათი თუმანი, მაგრამ კონტრაქტი ჩამოართვა ი-ოვმა, თუ მატყლი არ მომეცი ოცდა-ათ თუმანზედ ოცდა-ათიც ჯარიმა გარდაიხადოო. სანამ კონტრაქტი არ ჩააბარა მეცხვარემ, იმანაც ფული არ მისცა. დადგა ივნისი და მატყლის ჩაწყობის დროც; მივიდა ი-ოვი ამ კაცთან და უთხრა,—მატყლი მომეციო; იმან უპასუხა მატყლი სხვაზედ გავყიდე, ეგ შენი მოცემული ოცდა-ათი თუმანი, შენ რომ გევალა, იმაში გავაბაროთო. ი-ოვი გაჯავრებული წამოვიდა და დაემუქრა,—სასამართლოში ერთი-ორად წაგართმევო, მართლაც უჩივლა სიღნაღის მომრიგებელ მოსამართლესთან და სამოცი თუმანი ფული წაართვა. თითონ საქმეს მაგრა იჭერს და სხვას რას დასდევს; მეც, ამ სტრიქონების მწერალი, ერთხელ ჩავვარდი ი-ოვისაგან დაგებულ ხაფანგში. ჩემს მეცხვარეს მიეცა მისთვის მატყლი 586 ნაპარსი და იმის პრიკაშჩიკს ამისთანა ბარათი მოეცა. ბარათში სწერია: «მოსე ოზაშვილისაგან მივიღე მატყლი 586 ნაპარსი; წონა არის ორ-გირვანქა-ნახევარი, ასის-თავი მიმიღია, ფული არის მისაცემი ოცდა-ექვსი თუმანი და ერთი მანათი მე პრიკაშჩიკი ს შვილი». აბა ამ ბარათით ი-ოვს როგორ ვუჩივლო და თავის ნებით არ მაძლევს, ვიზარალეო. მე ვსთხოვე თუ იზარალე, ნახევარი მაინც მომეცი მეთქი ამაზედაც უარი გამომიცხადა, მე ჩემს სახელს არ გავიტეხამ, სრულად მოგცემო, მაგრამ ეხლა-კი ყველას, მეცა და მრავალს სხვასაც, იმედი გადაგვიწყვიტა.

თუ ის ინგლისელი ვაჭარი მართლა მოვიდა, იმედი გვექნება რომ თითონაც ისარგებლებს და გლეხ-კაცებსაც ცოტაოდენ სარგებლობას მოუტანს და ამისთანა მატყუარა მცარცვავი ვაჭრებისაგან დაგვიხსნის.

ქრისტეფორე ოზაშვილი

სოფელი ოზანი.

ივლისის 20-ს.

რუსეთი

ტელეგრაფმა გვაცნობა რომ ქალაქს ყაზანში გაიხსნა ეპისკოპოსთა კრებაო და ტელეგრაფმავე გვაცნობა მისი დახურვა სხვა არაფერი შეგვიტყვია და არც გაზეთებში იწერებოდა რამ ამ კრების მოქმედებაზედ, რადგან მისი სხდომები კარებ-ჩაკეტილში სწარმოებდა. მხოლოდ ეხლა შეგვიძლიან გაზეთების შემწეობით აღვნიშნოთ ის საგნები, რომლებზედაც ჰქონიათ სჯა ათს ერთად მოყრილს ეპისკოპოსს.

ყაზანი ერთი იმ ქალაქთაგანია, რომელნიც მდინარე ვოლგაზედ მდებარებენ. ამ გუბერნიებში მრავალი უცხო ტომის ხალხია, მისიონერების თაოსნობით მოქრისტიანებული. ეს ხალხი ადვილად ანებებს თავს თავის ახალ სარწმუნოებას და მასზედ დასამყარებლად ყოველთვის ხელ-მძღვანელობა ეჭირვება. ამას გარდა ვოლგის გასწვრივ გუბერნიებში მწვალებლობა ძალიან გავრცელებულია და ეხლა შტუნდაც ფეხს იდგამს. აი ამ საგნებზედ მოსალაპარაკებლად შეყრილა კრება ეპისკოპოსთა და სარწმუნოების განსამტკიცებლად სამი კომისია ამოურჩევია. კომისიებში მიწვეულნი არიან რამდენიმე მისიონერები და ყაზანის სასულიერო აკადემიის პროფესორები.

—

აი, თურმე, რა სიცხეებია ამ ჟამად რუსეთში: ცარიცინს ახლო ერთს მწყემსს შეუნიშნავს, რომ სოფლის საქონელი, 280 სული ერთბაშად დაწოლილიყო მიწაზედ იმისთანა დროს, რა დროსაც კვლავ არ დაუსვენია. მწყემსი გაოცებულიყო და ეცადნა საქონელი აეყენებინა, მაგრამ ვერა გაეწყო-რა. საშინელი სიცხე იყო,

თურმე, და ყველა სულ-დგმულს სულს უგუბებდა. შეშინებული მწყემსი გაქანებულიყო სოფელში და ხალხისთვის დაეძახნა. მოცვივნულიყვნენ სოფლელები, საქონელი ძლივს-ძლივობით აეყენებინათ, მაგრამ ცამეტი სული მომკვდარიყო. საქონლის ექიმმა ამისთანა მოვლენა სიცხის გავლენით ახსნა.

უცხოეთი

ინგლისი ძალიანა ცდილობს ეხლანდელი ქედივი ეგვიპტისა ტეფიქი გადააყენოს და იმის მამა იზმაილ-ფაშა დასვას. ამისთანა სურვილის მიზეზად იმას ასახელებენ, რომ ინგლისი ბევრს ეცადა, მაგრამ ტეფიქის მოქრთამეობის გამო, მონების ვაჭრობა ვერ მოსპო ეგვიპტეშიო. უწინ 500 მოხელე იყო ამ საზიზღარი ვაჭრობის ასაცილებლად და ეხლა მხოლოდ ოთხია თურმე, მაგრამ თუნდ დაეჭირონ ვინმე ამათ, მაინც სასამართლოს ხელიდამ გაუსხლტება დამნაშავე, ან მოსამართლენი სულ მცირე ჯარიმას დაადებენ. იზმაილ-ფაშა-კი ჰპირდება ინგლისს ამ კაცობრიულ საქმეში დახმარებას.

—

გაზეთს Standard-ში სწერია: თუ ჩვენი წინააღმდეგი დათანხმდებოდა ავღანისათვის ცხადის სამზღვარის გაყვანაზე და ამ სამზღვარს ფორმალური პირობით დაამტკიცებდა, მაშინ ზულფიგარის საქმეშიაც შეიძლებოდა დაგვეთმო რამ და ეს დიდი ფასი არ იქნებოდა საქმის გამორკვევისათვის; ინგლისს არ უნდა ომი და მეორე მთავრობასაც შეუძლიან მისი აცილება, თუ დასთანხმდა სადავო ადგილების წესზედ მოყვანას. მაგრამ თუ ამაზედ უარს იტყვიან, მაშინ ინგლისმა უნდა ჰკითხოს თავის თავს,—არ ემჯობინება თავის მამულისათვის თავგამოდებულ ავღანელებთან ერთად ომი გამოაცხადოს, ვიდრე შეარაღებულს მშვიდობიანობას ადგეს, რომელიც ომზედ ნაკლებად არა ჯდება.

—

თუმცა იტალიის სამინისტრომდამ უცხო საქმეთა მინისტრი მანჩინი გამოდევნეს კოლონიალურ პოლიტიკისათვის, მაგრამ ეს სამინისტრო თავისას არ იშლის და კოლონიებს თავს არ ანებებს. რომიდამ იტყობინებიან, რომ, მართალია, მასოვაში იტალიის ჯარი ცულს მდგომარეობაშია, მაინც ახალს ექსპედიციასა ჰგზავნიან მეწამულ ზღვაში ამ ზღვის ნაპირების დასაჭერად. იტალიელებს სწადიანთ თურმე სუდანელებისაგან გარშემორტყმული კასალა განათავისუფლონ. აქედამ ცხადად მტკიცდება, რომ იტალიისა და ინგლისის შორის ისევ მკვიდრი კავშირი არსებობს.

—

Pall-Mall-Gazette-ისაგან გამოცხადებულმა ამბავმა ეხლანდელის ინგლისის გარყვნილობის შესახებ ცოტათი მაინც იმოქმედა საზოგადოებაზედ. ბანგებ დანიშნულმა კომისიამ, რომელშიაც უმაღლესნი პირნი იღებენ მონაწილეობას, გამოაცხადა, რომ საზოგადოდ ყველაფერი მართალია, რასაც ამ გაზეთში სწერენო. ერთერთმა დეპუტატმა პარლამენტს წარუდგინა თხოვნა მცირე წლოვანი ქალების ნამუსის დაცვაზედ. თხოვნაზედ 393,000 კაცს ეწერა ხელი და დიდის ამბით იქმნა მიტანილი პარლამენტში. იგი იდო კარეტაში, რომელშიაც ოთხი ცხენი ება და უკან მუსიკა მისდეკდა. ამ საგანზედ ლაპარაკის დროს შინაურ საქმეთა მინისტრმა სთქვა, რომ ეს საქმე მთელის ინგლისისათვის საგულისხმოა და საზოგადოების აზრი თხოულობს,—ოჯახის პატიოსნები და სახელი ინგლისის ქალებისა დაცულ იქმნასო. პარლამენტმა გადასწყვიტა, რომ ვინც 21 წლისაზედ ყმაწვილ ქალს ნამუსს ახდის, სისხლის სამართალში მიეცემაო.

—

ინგლისის წყლულებზედ თითის დადებამ სხვა ქვეყნებზედაც იმოქმედა და ეხლა ყველგან იმასა ცდილობენ, რომ ბუდე გარყვნილობისა გადაჰქექონ და საზოგადოებას თვალ წინ გადაუშალონ მათში მომხდარი საძაგლობა.

საფრანგეთშიაც არის თურმე მთელი ხროვა საზიზღარ ქმნილებათა. ესენი მცირე-წლოვან ბავშვებს ჰყიდულობენ სამხრეთ-იტალიაში ღარიბ მშობლებისაგან, რომელთაც გასჭირებიათ მათი რჩენა, მოჰყავთ მარსელში, პარიჟში, ლიონში და სწორედ რომ ტყვესავით ექცევიან უბედურ ბავშვებს: ძალად ათხოვნინებენ ქუჩებში მოწყალებას, ამღერებენ, ათამაშებენ და როცა პატარა წამოიზდებიან, უნამუსობას აჩვევენ. ამ ბავშვების ცხოვრება—სწორედ ჯოჯოხეთია; მუდამ სცივათ, მუდამ შიანთ, სცხოვრობენ საზიზღარ, ბნელ სარდაფებში და სრულიად უბრალო დანაშაულისათვისაც კი უწყალოდ ილახებიან. პარიჟში ხშირად შეხვდებით ცივ-ზამთრის ღამეში ქუჩაში მიკუნჭულ პატარა იტალიელებს; რომ ჰკითხოთ რატომ შინ არ მიდიხართ დასაძინებლადო, მოგიგებენ, ჩვენის სახლის-პატრონისა გვეშინიან, გაგვლახავს, რომ მისგან შემოკვეთილი ვერ მოვაგროვეთ დღესაო.

მაგრამ საფრანგეთში მცირე-წლოვანი ქალებით ვაჭრობა მაინც იმ ზომამდე არ მისულა, რა ზომამდეც ინგლისშია. ფრანცუზები ფთხილობენ აგრეთვე ამისთანა საქმის გამოაშკარავებას, რადგან კანონით სასტიკი სასჯელი მოელით.

—

ბამბეტა მოკვდა და საფრანგეთს აღარა ჰყავს იმისთანა ორატორები, რომელნიც ერთხმად ათქმევინებდენ ყველას: აი ნამდვილი ორატორიო. ამ დღეებში საფრანგეთის პარლამენტში შეიჯახნენ ორი საუკეთესოდ ცნობილი მოლაპარაკე: უწინდელი მინისტრი ფერი და ძლემანსო. საგანი შეჯახებისა, როგორც მოგეხსენებათ, კოლონიალური პოლიტიკა იყო. ბაზეთები თითქმის ერთხმად ამბობენ, რომ ორთავეს სიტყვას საუუძველიანობა და საბუთიანობა აკლდათ, თუმცა ფერის სიტყვა იმისთანა ბრწყინვალე ფრაზებით იყო სავსე, რომ თითქმის მთელი კრება აღტაცებაში მოიყვანაო. მაგრამ ძლემანსოსაგან სიტყვის წარმოთქმის დროს საშინელი სკანდალი მომხდარა. ოპორტუნისტები და რადიკალები ერთმანეთს შესტაკებიან და შიგ პარლამენტში ცემა-ტყეპაც გაუმართავთ ასეთის უწესოებისა და არეულობის მოწამე კვლავ არა ვყოფილვართო, იწერებიან გაზეთების რეპორტიორები.

თუ როგორ ექცევოდა მახდი თავის ტყვეებს, სჩანს შემდეგიდამ ელ-ობეიდის აღების შემდეგ მახდის ხელში ჩაუვარდა რამდენიმე მისიონერი მათის მოთავით ლუიჯი ბონომით. აი რას ამბობს თვით ლუიჯი ბონომი, მასუკან ტყვეობიდამ გამოქცეული. «შვიდნივე მახდისთან მიგყიყვანეს და მან გამოგვიცხადა მაჰმადის სჯული უნდა მიიღოთო. ჩვენ უარი ვსთქვით და მახდი ამით გავარისხეთ. «მიფთხილდით, გიაურებო», დაიყვირა მან, «ხვალამდის ვადა მომიცია; თუ კეთილ-მორწმუნენი არ შეიქნებით, სასტიკად დაგსჯით გაკერპებისათვის. ამ დღეს ჩვენთან მოვიდენ დერვიშები და გვაჯერებდენ დავთანხმებულიყავით. მეორე დღეს კარვიდამ გამოგვიყვანეს გამწკრივებული ქვეითი და ამხედრებულ ჯარის წინაშე. წინ რომ გავუარეთ, ბევრმა მუქარით ხმლები დაგვიქნიეს. ამ დროს მშვენიერს დრომადერზედ (აქლემზედ) მჯდარი მახდი მოგვიახლოვდა. «აბა, გიაურებო, ან ისლამი მიიღეთ, ან თავებს დაგაყრევინებთ!» ჩვენ ვუპასუხეთ: «შეიხ მახმადო, შენი ძლიერება დიდია და შეგიძლიან, რაცა გსურს, ის გვიყო, მაგრამ სარწმუნოებას კი ვერ გამოგვაცვლევინებ. ჩვენ სიკვდილი გვირჩევნია». ჩამოვარდა სიჩუმე. ჩვენს ახლო დერვიშები ხმალ-ამოღებულნი იდგნენ და მხოლოდ ბძანებას მოელოდენ რომ თავები დაეყრევინებინათ. უცრად მახდიმ წარმოსთქვა: «ო, ნაზარეველნო. დეე, ალლაჰმა მიაქციოს თქვენი გული ჭეშმარიტების გზასა. დერვიშნს თქვენ თქვენი ხმლები ჩააგეთ და ესენი უვნებლად ჩემს კარავში წაიყვანეთ. „იქ თავისთან დაგვსხა, გვაიმედებდა, ნურაფრისა გეშინიანთო და ერთს ბერძენს ჩაგვაბარა, რომელსაც ისლამი მიეღო. ამ ბერძენთან ორი თვე ვიყავით და დიდს გაჭირებასა და შიმშილს ვითმენდით. სამი ჩემი ამხანაგთაგანი საშინელის ტანჯვით დაიხოცენ. მტრებს ეგონათ გაჭირვება მაინც გამოგვაცვლევინებდა სარწმუნოებას».

სხვა და სხვა ამბავი.

ინგლისის გაზეთებში სწერია ერთი ამბავი, რომელიც ბირმინგამში მოხდარა: ერთი მდიდარი ოვბრიკის პატრონის ცოლმა ნახა მაღაზიაში მშვენიერი შალი, ღირებული 40 გირ. სტერლინგად. ძალიან მოუნდა, თურმე ამ შალის ყიდვა, მაგრამ იცოდა, რომ მისი ქმარი 40 გირ. სტერ. არას დროს არ გაიმეტებდა ამ შალში; ამისათვის მან მისცა ვაჭარს 20 გირ. და სთხოვა რომ ეს შალი ჩემს ქმარს დანარჩენ 20 გირ. მიჰყიდეთო. როგორც ითქვა, ისეც მოხდა. მართლაც რამდენიმე დღის შემდეგ იგივე შალი ნახა მისმა ქმარმა, შეკიდა მაღაზიაში და იყიდა; ვაჭარმა ამისთანავე უთხრა, რომ ერთს ქალს ეს შალი ძალიან მოეწონაო. წარმოიდგინეთ ცოლის გაკვირვება და გულზედ მოსვლა, როდესაც რამდენიმე დღის შემდეგ დაინახა, რომ მისი მოწონებული შალი ბირმინგამის ერთს „ღამის ვეშეელა“ ეკეღუტ ქალს ესხა. რაღა თქმა უნდა, ცოლს არაფერად იამებოდა, რომ მისის ეშმაკობით ნაყიდი შალი იმის ქმრის საყვარელს ერგო.

—

ამ ასლო სანში ვენბრეში (ინგლისში) მოხდა ერთი შესანიშნავი შემთხვევა, რომელსაც მრავალ ბირთვთვის კინაღამ ცუდი შედეგი მოჰყვა. რამდენიმე სამხედრო კაცი დინამიტის ძალას იკვლევდენ. დინამიტის პატრონას მოაბეს ანთებული პატრუქი, წყალში გადისროლეს და თვითონ უკან დაიწიეს და დაუწყეს ცქერა, თუ აფეთქებული დინამიტი წყალს რა სიმაღლეზედ აისვრიდა. ამ დროს წყლის ნაპირს მიეიდა მოსადირე თავის ძაღლით. ძაღლმა რომ რაღაც წყალში მოტურავი დაინახა, მაშინვე გადასტა შიგ, წაავლო ბირი დინამიტის პატრონას და თავის პატრონისკენ წამოვიდა. თუმცა ბევრს უყვირიდენ ძაღლს და ქვებსაც ესროდენ, რომ გაეგდო დინამიტი, მაგრამ არ იქნა. რამდენიმე წამის შემდეგ პატრუქი დაიწვა, პატრონამ იფეთქა და ძაღლი ნაწილ-ნაწილად დაგლიჯა.

—

ერთს პარიჟელს გაზეთში იწერებიან ლაგორიდამ (გვინეის სრუტეშია); დაგომეის ჯარმა, რომელიც შესდგება 6,000 კაცის და ამაზონისაგან (ქალებისაგან), მაისის 10-ს გაიმარჯა ათი სოფელი ბორტონუოგოს სიახლოვეს. ეს სოფლები საფრანგეთის მფარველობის ქვეშ იყვნენ. ყველა ხნიერი კაცები და ქალები დახოცეს, ხოლო ახალ-გაზდები და ორივე სქესის ბავშვები ტყვედ წაიყვანეს მსხვერპლად შესაწირავად. არაოდეს დაგომეის ჯარს ასე შორს არ გაულაშქრია სოფლების ასაკლებად. საზოგადოდ ეს ჯარი გაზაფხულზედ თარეშობს ხოლმე, როდესაც ქურუმები ერთად თხოულობენ 700—800-დის სულის ადამიანის მსხვერპლს. ქალები, რომელნიც ცოცხალნი რჩებიან, ამაზონების ჯარში ირიცხებიან და ეს ჯარი 4,000 ქალისაგან შესდგება; იგინი არიან მტველნი შავის კორროლისა. ჯარში შესვლამდის ქალწულობის აღთქმას სდებენ და კაი მას, ვინც ამ აღთქმას დაარღვევს; მას მაშინვე ჭკლამენ, ხოლო მის შემტდენელს კი თავზს უსვამენ და ხეზედ აკრამენ მწერების შესაჭმელად. ომში ამაზონები კაცებზედ უფრო მამაცნი და შეუბრალებელნი არიან; ახალგაზდა ქალები, რომელნიც ომში მონაწილეობას არ იღებენ, დაჭრი-

ლებზედ ტანჯვის ცქერას ეჩვევიან. მშვიდობიანობის დროს ამზრახები იარაღის ხმარებას სწავლობენ, არაყს სვამენ და თამბაქოს ეწევნენ. ბორტო-ნოუგოს მცხოვრებნი ამზრახებისაგან საშინლად არიან დაშინებულნი. საფრანგეთის რეზიდენტი ბოლეოვნიკი დოვა ავადმყოფობის გამო დროებით საფრანგეთში წავიდა და მისი ადგილი მისცეს ლეიტენანტს როუეს, რომელსაც მხოლოდ 50 ჯარის კაცი ჰყავს; დაგომეის ესლანდელი კოროლი საზიზღარი რამ არის: იგი ყოველთვის მთვრალია და როდესაც ფრანცუზების შესვლამდის ვაჭრებს მასთან ლაპარაკი უნდოდათ, სხვა-და-სხვა ეშმაკობას სმარობდენ მის გამოსაფხიზლებლად და ცდილობდენ მცირე სანს მაინც ბოთლებისთვის მოეშორებინათ.

ტელეგრამები

„ჩრდილოეთის საგენტოსი“

ივლისის 30-ს.

პეტერბურგი. უუწმინდესმა სინოდმა მიანდო ირკუტსკის ეპისკოპოსს მოიწვიოს ეპისკოპოსნი ენისეისკისა, ტომსკისა და კამჩატკისა, რათა ერთად სჯა იქონიონ იმაზედ, თუ როგორ გუკეთესდეს ხალხის ზნეობა, ჩამოვარდეს ერთგულება სარწმუნოებისადმი, მოისპოს მწვალებლობა და გავრცელდეს ქადაგების სიტყვა კერპთ-მსახურთა შორის.

ჰელსინგფორსი. გენერალ გუბერნატორმა დიდი ბალი გაუმართა მათ დიდებულებათ. საღამოს ექვსს საათზედ მათნი დიდებულებანი პეტერგოფში წაბძანდენ. ხალხი აღტაცებულს „ურას“ იძახოდა. რამდენიმე ხალხით სავსე გემმა გამოაცილეს იახტა „დერჟავა“, რომელშაც მათნი დიდებულებანი ბძანდებოდენ.

მოსკოვი. ორშაბათს ჯარებმა დაიწყეს წასვლა ბოროდინოსკენ დიდის მანევრებისათვის.

პარიჟი. ფრანცუზებისაგან ივლისის 4-ს დაცლილ ტონკინში შეგიადენ ჩინელები, გაოხრეს ევროპიელების უბანი და ინგლისის ვაჭრებს დიდი ზიანი მისცეს.

გიბრალტარი. აქაურს სამოქალაქო ლაზარეთში მოკვდა ერთი კაცი და ამ საკვდილს ხოლერას აბრალებენ.

პეტერბურგი. სახელმწიფო რჩევამ მოსწონ „დესეტინის“ გარდასახადი, რომელიც ცხრა დასავლეთის გუბერნიაში ჭდებოდათ, როგორც მეპატრონეებს, ისე გლეხებს მართლ-მადიდებელ და კათოლიკეთა სამღვდელოებისათვის.

თეირანი. ინგლისის კომისია ავღანის საზღვრის გასარჩევად დანიშნული ამ ჟამად ჭერთიდამ დასავლეთით ცხრა მილზეა.

ვენა. ავსტრიის უცხო საქმეთა მინისტრი გრაფი კალნოკი დღეს წავიდა ვარძინში თავადის ბისმარკის სანახავად.

ბირჟა

შეტერბურგი ივლისის 30.

100 მანათის კურსი სამის თვით ლონდონზე—	—	$23^{11}/_{16}$	$23^{25}/_{32}$ $23^{3}/_{4}$
100 მანათის კურსი სამის თვით ჰამბურგზე—	—	202	$202^{3}/_{4}$ $202^{1}/_{2}$
100 მან. კურსი სამის თვით პარიზზე	—	—	250 $250^{3}/_{4}$ $250^{1}/_{2}$
პოლუიმპერიალები	—	8 მ.	34 კ. გაუ.
ტამოჟნის კუპონები	—	8 მ.	34 კ. გაუ.
ვეცხლის მანათი	—	1 მ.	32 კ. გაუ.
ბირჟის დისკონტი	—	—	$5^{3}/_{4}$ და $6^{3}/_{4}$%
5% ბილეთები სახელმწიფო ბანკისა 100 და 1000 მან. პირველი გამოცემისა	—	—	99 მ. გაუ.
მეორე გამოცემისა	—		97 მ. 62 კ. გაუ.
მესამე გამოცემისა	—		97 მ. 62 კ. მუ.
მეოთხე გამოც.	—	—	$97^{1}/_{4}$ მ. მუ.
მეხუთე გამოც.	—	—	$97^{1}/_{2}$ მ. მუ.
5% ალმოს. სესხ. 100 და 1000 მ. პირვ. გამოც.	—		95 მ. 62 კ. გაუ.
მეორე გამოც	—	—	$95^{3}/_{4}$ მ. მუ.
მესამე გამოც.	—	—	96 მ. მუ.
5% მომგები ბილეთები I შინაგანის სესხისა	—		218 მ. გაუ.
5% მომგები ბილეთები II შინაგანის სესხისა	—		$212^{3}/_{4}$ მ. გაუ.
ოქროს რენტა	—	—	$174^{3}/_{4}$ მ. გაუ.
თბილისის საადგილ-მამულო ბანკის გირავნობ. ფურცლები	—	—	43 წ. 88 მ. გამუ.
ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკის გირ. ფურც.			18 წ. 99 მ. გამუ. 43 წ. 89 მ. გამუ.

ცნობანი

საავადმყოფოს დირექტორი ბ-ნი ვერმიშევი ამით აცხადებს რომ ქ. თბილისის მოქალაქეთა მიერ გარეშე მოსიარულე ავადმყოფთათვის დაარსებულს საავადმყოფოში 1866 წლის აპრილის 4-ის მოსაგონებლად შემოღებული არის მცხოვრებთა შეღავათისათვის ღამღამობით მორიგად ყოფნა ბბ. ექიმთა და ბებიათა.

ექიმები:

არუთინიანი, ორშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით.

კოროლნა, სამშაბათობით და შაბათობით.

მელიქ-ფაროსადაგოვი, ოთხშაბათობით და პარასკევობით.

ბებიები:

ფილჩაკოვისა, სამშაბათობით.

ბაგინოვისა, ორშაბათობით და პარასკევობით.

სტეფანოვისა, ოთხშაბათობით და შაბათობით.

ლოქშისა, ხუთშაბათობით და კვირაობით.

სამკურნალოში, რომელიც თბილისის მოქალაქეთ დაარსეს სასოგვრად 4 აპრილისა 1866 წლისა, ავადმყოფნი მიიღებიან დილის 8 საათიდამ 12 საათამდის.

ეოველ დღე მიიღებენ ამ სამკურნალოში ავად-მყოფებს შემდეგი ექიმები: ტერ-გრიგორიანცი—8 საათიდამ 9 საათამდის საბებიო, საქალებო და საბავშვო ავადმყოფობის; საწამლებლად ბენკლევსკი—10—11 საათამდე —სახირურგო, სიფილისის ავადმყოფობის წამლობისთვის და აგრეთვე კბილისა და ყურის ტკივილის საწამლებლად; შტემბორსკი 11—12 საათამდე სიფილისისა და სხეულზე გამოყრილი მუწუკების წამლობისათვის. ამას გარდა გარალევიჩი ორშაბათობით 9—10 საათამდე შინაგან ავადმოფობის წამლობისათვის; კოროლნა ორშაბათობით, სამშაბათობით, ხუთშაბათობით, და შაბათობით შინაგან ავადმოფობათა წამლობისათვის 10—11 საათამდე; მინკევიჩი სამშაბათობით და პარასკევობით 9—10 საათამდე ხირურგიული ავადმოფობისათვის; ხამჩინსკი სამშაბათობით და შაბათობით 11—12 საათამდე თვალის ტკივილის საწამლებლად: კრასნოგლიადოვი ორშაბათობით და პარასკევობით 10—11 საათამდე შინაგან ავადმოფობათა წამლობისათვის; ეოლფსონი კბილის ტკივილის საწამლებლად მიიღებს თავის სახლში ეოველთვის დარიბ ავადმოფეს, რომელთაც სამკურნალოდამ ბარათი ექმნებათ.

მაზანდა

ხორაგისა, რომელიც იყიდება თბილისის ბაზრებში, დუქნებში და ხელ-და-ხელ 1 მარიამობისთვიდამ 15 მარიამობისთვემდე 1885 წ.

გამომცხვარი შური რუსეთის ფქვილისა	—	—1	გირ. 5 ჯ.
ალაურის ფქვილისა: პირველის ხარისხისა—	—	—1	ბ. $2^{1}/_{2}$
მეორისა	—	—1	ბ. 2 ჯ.
იმავე ფქვილისა თორნეში გამომცხვარი:			
პირველი ხარისხის	—	—1	ბ. $4^{1}/_{2}$
მეორისა	—	—1	ბ. $3^{1}/_{2}$
მესამისა	—	—1	ბ. 3 ჯ
ჯვარის-მამის ჰური:			
პირველის ხარის ლავაში		1	ბ. $4^{1}/_{2}$
მეორის ხარის. ლავაში		1	ბ. $3^{1}/_{2}$
მესამისა	—	—1	ბ. 3 ჯ
ძროხის ხორცი:			
პირველის ხარისხისა	—	—1	ბ. 7 ჯ
მეორისა	—	—1	ბ. 6 ჯ.
სუკი	—	—1	ბ. 14 ჯ
ცხვრის ხორცი	—	—1	ბ. 8 ჯ
ღორის ხორცი:			
პირველის ხარისხისა		1	ბ.
მეორისა	—	—1	ბ.

განცხადებანი

ისყიდება

ახალი სახელმძღვანელო წიგნი

ქართული

ქრესტომათია

უმცროს კლასებისთვის.

შედგენილი მიხეილ ნასიძისაგან.

ფასი თოთხმეტი შაური.

შინაარსი: ა) პატარა-პატარა წერილები, ლექსები და იგავები, ბ) ზღაპრები, გ) საქართველოს ცხოვრებიდამ და ბუნებიდამ (რჩეული ადგილები ჩვენი მწერლების საუკეთესო ნაწერებიდამ), დ) საქართველოს ისტორიიდამ.

წიგნი ისყიდება თბილისის ყველა წიგნის მაღაზიებში. ქალაქ გარედამ ვინც ერთს ეკზემპლიარს დაიბარებს, გასაგზავნი ორი შაური უნდა დაუმატოს. მინც დაიბარებს ორ ეგზემპლარს 10-სა, მას წიგნი დაეთმობა ცამეტ შაურად, ხოლო გაგზავნის ხარჯი-კი მისი იქნება

(25—5)

სექტემბრის პირველს

ამა წლისას,

სამეფო ნეო სკოლაში,

ბახსნილს ამ ორის წლის წინად სოფ. წინამძღვრიანთკარში, დუშეთის მაზრაში, საგურამოს ველში, ახლად მიიღებიან ბაშვები ყველა წოდებისა, სარწმუნოებისა და ეროვნებისა. ბაშვები უნდა იყვნენ არა ნაკლებ ათისა და არა უმეტეს თოთხმეტის წლისა. ბამოცდა ყმაწვილებისა არ იქნება; ბაშვების დედ-მამანი არა გადასახადს არ გაიღებენ შეგირდებს მიეცემათ უფასოდ სწავლისათვის საჭირო წიგნები და სხვა სასწავლო ნივთები. სასწავლო სკოლის კურსს შეადგენენ შემდეგი საგნები: ა) საღმრთო სჯული; ბ) რუსული და ქართული ენები; გ) არითმეტიკა და პრაქტიკული გეომეტრია; დ) მამულის შესწავლა, მოკლე გეოგრაფია ამიკასიისა, რუსეთისა და ევროპის სახელმწიფოებისა და საზოგადო მიმოხილვა ქვეყნებისა; ე) ელემენტარული ზოოლოგია, ბოტანიკა და მინერალოგია; განსაკუთრებითი ყურადღება იქმნება მიქცეული ამიკასიის მცენარეებზე და პირუტყვებზედ; ვ) მამულის მოვლა, მიწის შემუშავება, ხეხილისა და ვაზის კეთება, ბოსტნეულობა; ტყის მოვლა; ფუტკრის გაშენება; პირუტყვის მოვლა; სასოფლო მეურნეობის ანგარიშის ცოდნა და ტეხნოლოგია; და ზ) საზოგადო მისახვედრი ჰიგიენა და პირუტყვთ მკურნალობა; ხატვა, ხორით გალობა და სიმღერა ბარდა ამისა სკოლის შეგირდები შეისწავლიან სახელოსნოში, გახსნილს ამ ორის თვის წინად, მჭედლობას და ზეინკალობას (სლესრობას); შემდეგში კი დურგლობას და ბოჩკის კეთებას. დედ-მამათ ანუ აპეკუნებმა უნდა წარადგინონ ბაშვები პირველს სექტემბერს ს. წინამძღვარიანთ-კარში, საცა სკოლა წარმოებს.

მზრუნველი სკოლისა

(2—2) ი. წინამძღვრიშვილი.

ფოკოლადი

ს. სიუ და კ.

(Ц. 2542).

(46—24)

Дозв. ценз. Тифлисъ, 31 Іюля 1885 г. მელიქიშვილის სტამბა. გამომცემელი ბ. ძართველიშვილი. რედაქტორი ი. მაჩაბელი